

სს „ენერგოკავშირი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ენერგოკავშირის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ენერგოკავშირის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ხელმძღვანელობას არ განუსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვი, რომელიც აღრიცხულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 1,826 ათასი ლარის და 1,237 ათასი ლარის ოდენობით 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რაც წარმოადგენს გადახვევას ფასს 9-დან - „*ფინანსური ინსტრუმენტები*“. ჩვენ ვერ გადავთვალეთ მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვი, რადგან არ მოგვაწოდეს გარკვეული ფინანსური და სხვა ინფორმაცია ამ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო რეზერვთან დაკავშირებით. ვინაიდან სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საწყისი ნაშთი, მონაწილეობს საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ, წლის მოგების შესაძლო კორექტირების ოდენობა, რომელიც მოხსენიებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და წმინდა ფულადი ნაკადების საოპერაციო საქმიანობიდან, რომელიც მოხსენიებულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია ჩვენი დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „*ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს*“ (IESBA) „*პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის*“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს. როგორც განმარტებულია ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძვლის სექციაში, ჩვენ არ შეგვეძლო დასკვნის გამოტანა საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან, რომლებიც შეადგენენ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის.

ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავეცანით მმართველობით ანგარიშს და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფას-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 30 აპრილი

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 30 აპრილი

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
არამატერიალური აქტივები		22	20
ძირითადი საშუალებები	8	2,248	2,334
ნეტო საიჯარო ინვესტიცია	9	151	162
გრძელვადიანი აქტივები		2,421	2,516
ნეტო საიჯარო ინვესტიცია	9	11	11
მარაგები		9	16
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,826	1,237
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	744	961
მოკლევადიანი აქტივები		2,590	2,225
სულ აქტივები		5,011	4,741
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12 (ა)	5,000	5,000
დაგროვილი ზარალები	12 (ბ)	(1,458)	(1,379)
სულ საკუთარი კაპიტალი		3,542	3,621
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	14	1,416	1,067
საგადასახადო ვალდებულებები		53	53
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,469	1,120
სულ ვალდებულებები		1,469	1,120
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,011	4,741

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე


‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	8,204	8,114
ბუნებრივი გაზის შესყიდვის დანახარჯები		(6,207)	(5,413)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(256)	(231)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(1,597)	(1,807)
ცვეთა		(97)	(96)
სხვა ხარჯები	6	(214)	(301)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(167)	266
ფინანსური შემოსავალი	7	88	57
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(79)	323
მოგების გადასახადის		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		(79)	323
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი		(79)	323

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
ვაჟა მაიხურაძე



მთავარი ბუღალტერი
ხათუნა ლორთქიფანიძე



‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	8,204	8,114
ბუნებრივი გაზის შესყიდვის დანახარჯები		(6,207)	(5,413)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(256)	(231)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(1,597)	(1,807)
ცვეთა		(97)	(96)
სხვა ხარჯები	6	(214)	(301)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(167)	266
ფინანსური შემოსავალი	7	88	57
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(79)	323
მოგების გადასახადის		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		(79)	323
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი		(79)	323

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
ვაჟა მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი
ხათუნა ლორთქიფანიძე

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე

‘000 ლარში	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	12	5,000	(1,702)	3,298
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება		-	323	323
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	12	5,000	(1,379)	3,621
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		5,000	(1,379)	3,621
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი		-	(79)	(92)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	12	5,000	(1,458)	3,542

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე.

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის (ზარალი)/მოგება		(79)	323
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა	8	96	96
ფინანსური შემოსავალი	7	(88)	(57)
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		7	(6)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(594)	(234)
სავაჭრო ვალდებულებები		349	172
საგადასახადო ვალდებულებები		-	(81)
სახელშეკრულებო ვალდებულებები		-	(221)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(309)	(8)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(309)	(8)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(10)	(12)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(2)	(9)
მიღებული პროცენტი		93	42
ძირი თანხის მიღება ნეტო საიჯარო ინვესტიციიდან	9	11	10
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		92	31
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(217)	23
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		961	938
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	744	961

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 31 გვერდებზე.

სარჩევი

1. ანგარიშვალდებული საწარმო.....	11
2. აღრიცხვის საფუძველი.....	12
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.....	12
4. შეფასებისა და მსჯელობების გამოყენება	12
5. ამონაგები	14
6. სხვა ხარჯები	15
7. ფინანსური შემოსავალი	15
8. ძირითადი საშუალებები.....	15
9. ნეტო საიჯარო ინვესტიცია.....	16
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	17
12. საკუთარი კაპიტალი.....	17
13. კაპიტალის მართვა.....	17
14. სავაჭრო ვალდებულებები.....	18
15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.....	18
16. პირობითი ვალდებულებები.....	21
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
18. შეფასების საფუძველი	22
19. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები	22
20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	30
21. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	31

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და ქვეყნის ეკონომიკა ზემოთ აღწერილის შესაბამისად ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს; მეორე მხრივ, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „ენერგოკავშირი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 200095887) წარმოადგენს ქართულ სააქციო საზოგადოებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრულის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2003 წლის 20 ოქტომბერს და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დასახლება, I მ/რ., კორპუსი №13.

2004 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში „სემეკი“) გადაწყვეტილებით კომპანიას მიენიჭა გაზის მიწოდების (სერია 21 N100) და განაწილების (სერია 23 N071) ლიცენზია 2006 წლის 1 იანვრამდე, რომლის მოქმედების არეალი განისაზღვრა: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება. შემდგომში, სემეკის 2005 წლის 27 ივნისის (N9/2) და 29 დეკემბრის (N29/6) გადაწყვეტილებებით კომპანიის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის ვადა გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით და მოქმედების არეალს დაემატა გლდანის V, VI, VII და VIII მიკრორაიონები. ლიცენზიის პირობების შესაბამისად კომპანია ფაქტობრივად უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის უწყვეტ მიწოდებას მხოლოდ მუხიანის დასახლების აბონენტებისათვის. კომპანიის გასაყიდი ტარიფები საყოფაცხოვრებო სექტორის მომხმარებლებისთვის რეგულირდება სემეკის მიერ.

კომპანია არის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ ნებადართული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა იყო 5,000,000 აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

ინფორმაცია კომპანიის აქციონერების წილების შესახებ:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაჭყებია მარიკა	7,97%	7,97%
5%-მდე წილის მფლობელი აქციონერები	92,03%	92,03%
სულ	100%	100%

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 17-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამ განსჯის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეკონომიკური გარემო, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის რეალიზაციის აღიარება ხდება მექანიკურ მრიცხველზე ასახული მოხმარებული გაზის რაოდენობის საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ნებისმიერი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები, დაკავშირებულია მნიშვნელოვან განსჯასთან. ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია გაზის მარაგები, შესყიდული და რეალიზებული ბუნებრივი აირი განსხვავდება მხოლოდ ბუნებრივი აირის დანაკარგების ოდენობით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი და ამონაგები არ აღიარებულა, უმნიშვნელოა (იხ. შენიშვნა 19 (ა)).

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ წარმოიშვა გაუფასურების ზარალი ან მოსალოდნელია ნეგატიური ცვლილება საპროგნოზო ინფორმაციაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. 2024 და 2023 წლებში ხელმძღვანელობამ სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასება მიიჩნია არაარსებითად (იხ. შენიშვნა 15 (ბ)).

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 15 (ა) -ში სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. ამონაგები

‘000 ლარი	2024	2023
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	8,000	7,181
- საყოფაცხოვრებო	7,097	6,310
- არასაყოფაცხოვრებო	903	871
მიერთება, ინსტალაცია და სარემონტო სამუშაოები	204	933
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	8,204	8,114

სემეკის N30 დადგენილებაში, 2021 წლის 1 ივლისით დათარიღებული N22 ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა საყოფაცხოვრებო გაყიდვის ზედა ზღვრული ტარიფი 48.978 თეთრი (დღ-ს გარეშე) 1 მ3 ბუნებრივ გაზის, 2021 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის. კომპანიამ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო მოგების შემცირების ხარჯზე გაყიდვის ტარიფი დაწია 47.03 თეთრამდე (დღ-ს გარეშე). შემდგომ 19 დეკემბერი 2022 წლით დათარიღებული სემეკის N69 ცვლილების შესაბამისად რეალიზაციის ზედა ზღვრული ტარიფი განისაზღვრა 48.976 თეთრი (დღ-ს გარეშე) 1 მ3 ბუნებრივ აირზე, 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის, რის შემდეგაც კომპანიამ ბუნებრივი გაზის რეალიზაციის ტარიფი გაზარდა და გაუტოლა სემეკის მიერ დადგენილ ზედა ზღვარს.

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,826	1,237

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები ღარშია გამოხატული და უპროცენტოა.

6. სხვა ხარჯები

‘000 ლარი	2024	2023
გამოყენებული მასალები	69	167
პროფესიული მომსახურება	36	17
სემკის რეგულირების საფასური	23	22
ქონების გადასახადი	23	20
საბანკო საკომისიოები	21	20
საიჯარო ხარჯები	18	18
კომუნიკაციის ხარჯები	16	12
საოფისე ხარჯები	8	6
სხვა	-	19
სულ სხვა ხარჯები	227	301

7. ფინანსური შემოსავალი

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები მოთხოვნამდე დეპოზიტებზე	11	66	34
საპროცენტო შემოსავლები საიჯარო მოთხოვნიდან	9	22	23
სულ ფინანსური შემოსავალი		88	57

8. ძირითადი საშუალებები

‘000 ლარი	მილსაღ- ნები	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	გაზის მრციხველები და რეგულატორები	სხვა	სულ
ღირებულება						
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,366	126	22	19	24	2,557
შესყიდვები	-	-	5	6	1	12
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,366	126	27	25	25	2,569
შესყიდვები	-	-	6	4	-	10
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,366	126	33	29	25	2,579
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(78)	(30)	(14)	(3)	(14)	(139)
ცვეთა წლის განმავლობაში	(79)	(10)	(3)	(3)	(1)	(96)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(157)	(40)	(17)	(6)	(15)	(235)
ცვეთა წლის განმავლობაში	(79)	(10)	(3)	(3)	(1)	(96)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(236)	(50)	(20)	(9)	(16)	(331)
საბალანსო ღირებულებები						
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,288	96	8	16	10	2,418
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,209	86	10	19	10	2,334
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,130	76	13	20	9	2,248

9. ნეტო საიჯარო ინვესტიცია

კომპანია იჯარით გასცემს თავის ძირითად საშუალებებს (2,166 გ/მ საშუალო წნევის გაზსადენი - საკადასტრო კოდით N,01.00.041 და 3185გ/მ დაბალი წნევის გაზმომარაგების ქსელი საკადასტრო კოდით N,01.01.995) მესამე პირებზე. 2024 წელს იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი მოქმედებს ვადა გახანგრძლივდა 2029 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდება კიდევ 5 წლით, თუ არცერთი მხარე არ გამოთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 წლით ადრე, მაგრამ არა უმეტეს 2041 წლის 31 დეკემბრამდე; იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა მეიჯარის პერსპექტივიდან.

ნეტო საიჯარო ინვესტიციის საბალანსო ღირებულების შეჯერება

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს		173	183
ფინანსური შემოსავალი	7	22	23
პროცენტის მიღება		(22)	(23)
ძირის მიღება		(11)	(10)
ნაშთი 31 დეკემბერს		162	173

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ აღიარა 22 ათასი ლარის საპროცენტო შემოსავალი, საიჯარო მოთხოვნაზე (2023: 23 ათასი ლარი).

შემდეგი ცხრილი ასახავს საიჯარო მოთხოვნის დაფარვის ანალიზს, სადაც ნაჩვენებია არადისკონტირებული საიჯარო გადასახადები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთ წელზე ნაკლები	30	32
1-2 წლამდე	29	30
2-3 წლამდე	28	29
3-4 წლამდე	26	28
4-5 წლამდე	25	26
ხუთ წელზე მეტი	190	215
სულ არადისკონტირებული საიჯარო მოთხოვნა	328	360
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	166	187
სულ ნეტო ინვესტიცია იჯარებში	162	173
სულ მოკლევადიანი ნეტო ინვესტიცია იჯარებში	11	11
სულ გრძელვადიანი ნეტო ინვესტიცია იჯარებში	151	162

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები გაზის გაყიდვიდან		1,817	1,223
სხვა მოთხოვნები*		9	14
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,826	1,237

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება, მეტწილად 2 კვირიანი ვადა აქვთ და ლარშია გამოხატული.

კომპანიის საკრედიტო რისკების გავლენის შეფასება და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ განხილულია მე-15 (ბ) შენიშვნაში.

* სხვა მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე დეპოზიტები	500	700
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	244	261
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებში	744	961

მოთხოვნამდე დეპოზიტი და ნაშთები საბანკო ანგარიშებზე განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში. მოთხოვნამდე დეპოზიტი წარმოადგენს ვადიან დეპოზიტს "საქართველოს ბანკში" სამ თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით, რომელზეც კომპანიას აქვს ერთპიროვნული უფლება გამოიტანოს დეპოზიტები შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმის დაკისრების ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. შესაბამისად, ეს ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია მათი ბუნების მიხედვით, ანუ ისინი წარმოადგენენ მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ვადიან დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 9.5%. საპროცენტო შემოსავალმა დეპოზიტებზე 2024 წელს შეადგინა შესაბამისად 66 ათასი ლარი (2023: 34 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

12. საკუთარი კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული და განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა (ჩვეულებრივი აქციები) არის 5,000,000 და 4,999,686, შესაბამისად, ნომინალური ღირებულებით თითო აქციაზე 1 ლარი.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

(ბ) დივიდენდები

კომპანია დივიდენდს გასცემს გაუნაწილებელი მოგებიდან. 31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი დეფიციტი შეადგენდა 1,471 ათას ლარს და 1,379 ათას ლარს, შესაბამისად. 2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და

მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

კომპანიის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ ვალდებულებები	1,469	1,120
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	744	961
წმინდა ვალდებულებები	725	159
სულ საკუთარი კაპიტალი	3,542	3,621
წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	20.5%	4.4%

14. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებული ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია შენიშვნაში 15 (ბ).

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შესყიდულ გაზთან დაკავშირებული ვალდებულება	1,351	1,013
- საყოფაცხოვრებო	1,194	880
- არასაყოფაცხოვრებო	120	93
- დანაკარგები	37	40
გაზის ტრასპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულება	54	42
სხვა	11	12
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,416	1,067

15. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მიერ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1-ლი დონე	744	744
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	მე-3 დონე	1,826	1,826
ნეტო ინვესტიცია იჯარებში	9	მე-3 დონე	162	162
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	14	მე-3 დონე	1,416	1,416

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1-ლი დონე	961	961
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	მე-3 დონე	1,237	1,237
ნეტო ინვესტიცია იჯარებში	9	მე-3 დონე	173	173
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	14	მე-3 დონე	1,067	1,067

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნეტო ინვესტიცია იჯარებში სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

i. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღებება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან და მოთხოვნამდე დეპოზიტებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი, ანუ რისკი იმისა, რომ კონტრაქტის დავალიანებას ვერ დაფარავს, ძირითადად კონტროლდება ურჩი აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების დროულად შეწყვეტით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთისთვის.

ii. ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მოხმარებული ბუნებრივი გაზისთვის წინა პერიოდებში დარიცხული დავალიანებით შემცირებულ მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის სხვაობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0–1 თვე
2024 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,416	1,416	-	1,416
2023 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,067	1,067	-	1,067

iii. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

16. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის ადეკვატურია.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(გ) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ კომპანია არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (წარმოდგენილი გენერალური და ფინანსური დირექტორების სახით) მთლიანი ანაზღაურება 2024 წელს მოიცავდა დასაქმებულთა მოკლევადიან გასამრჯელოებს 305 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 329 ათასი ლარი) და ბონუსებს 165 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 184 ათასი ლარი).

18. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

19. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

(ა) ამონაგები

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კონტროლი საქონელზე ან მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელზეც უფლების მიღებას კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი არის პრინციპალი ყველა ამონაგების ხელშეკრულებებში, ვინაიდან, იგი, როგორც წესი, ახორციელებს საქონლის ან მომსახურების კონტროლს მომხმარებლებისთვის მათ გადაცემამდე. მრავალელემენტის ხელშეკრულებების დროს კომპანია თითოეულ მომსახურებას ცალკე აღნიშნავს, თუ მათი გამიჯვნა შესაძლებელია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასების მიხედვით. ინდივიდუალური გასაყიდი ფასები განისაზღვრება იმ პრაის-ლისტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც კომპანია ყიდის მისი ოპერაციების დამუშავების და ტექნიკური მომსახურებებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

i. ბუნებრივი გაზის გაყიდვა

ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მომხმარებლებისთვის მიწოდებული გაზის ფაქტობრივი მოცულობების საფუძველზე. კომპანია ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს კომპანიის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი გაზი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი ჯერ არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, საანგარიშგებო ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები, დაკავშირებულია მნიშვნელოვან განსჯასთან.

ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია გაზის მარაგები, შესყიდული და რეალიზებული ბუნებრივი აირი განსხვავდება მხოლოდ ბუნებრივი აირის დანაკარგების ოდენობით. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი და ამონაგები არ აღიარებულა, უმნიშვნელოა.

ii. მომსახურებების გაწევა

ამონაგები, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზომვითი მარაგების ქსელის გაყვანასა და კომპანიის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, როცა გაიწევა მომსახურებები და შესაძლებელია კონსოლიდაციის მიღება. გაზიფიკაციის მომსახურების განხორციელების პერიოდი ჩვეულებრივ 12 თვეზე ნაკლებია.

iii. ქსელთან მიერთების საფასური

სემეკის მიერ დადგენილი წესით, კომპანია გაზგამანაწილებელ ქსელთან მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების საფასური გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე კომპანიის მიერ გაწეული საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და ამონაგებს აღიარებს ქსელთან მიერთების მომენტში.

სახელშეკრულებო ნაშთი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის უფლებას მიიღოს უპირობო საზღაური (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

(ბ) ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს მოთხოვნამდე დეპოზიტებიდან. საპროცენტო შემოსავალი მათი დარიცხვისთანავე, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(გ) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(დ) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ii. ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

მილსადენები	30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წელი
გაზის მრციხველები და რეგულატორები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

i. ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება საოპერაციო დანახარჯები. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავენ დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და სახსრებს საკრედიტო დაწესებულებებში (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ii. *ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

iii. *ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(ვ) მოგების გადასახადი

2017 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან.

2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოქმედი კორპორაციული გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ზ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

(თ) გაუფასურება**i. არაფინანსური აქტივები**

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. რომელიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის. განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

ii. ფინანსური აქტივები

კომპანია ყველა ფინანსური აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის. რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 120 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ი) პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს.

პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

(კ) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია იყენებს ფასს 16-ის იჯარის განმარტებას.

i. როგორც მოიჯარე

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

ii. როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდება; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით.

აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, კომპანიამ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს. კომპანია იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. კომპანია შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში ბრუტო ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

20. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არეობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, კომისიას არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“
- ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

21. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 11 მარტს და 2025 წლის 13 მარტს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და თავმჯდომარემ, შესაბამისად, გაასხვისეს თავიანთი 0.9%-ისა და 2.6%-ის ოდენობით კომპანიის კაპიტალში არსებული წილები. აღნიშნული ტრანზაქციების შემდეგ, ორივე მათგანი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი გახდა.

სს „ენერგოკავშირი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები
3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ
4. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
5. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
7. კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

სს „ენერგოკავშირი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ ღია ტიპის სააქციო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია გლდან-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ოქტომბრის #1/5-53 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო ნომრით: 200095887, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მუხიანის I-მ/რ; კორპ-13.

კომპანია არის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ ნებადართული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა იყო 5,000,000 აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით - 1 ლარი. კომპანიის აქციები არ არის დაშვებული სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე. საზოგადოების აქციონერებს არეგისტრირებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“.

2004 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში „სემეკი“) გადაწყვეტილებით კომპანიას მიენიჭა გაზის მიწოდების (სერია 21 N100) და განაწილების (სერია 23 N071) ლიცენზია 2006 წლის 1 იანვრამდე, რომლის მოქმედების არეალი განისაზღვრა: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება. შემდგომში, სემეკის 2005 წლის 27 ივნისის (N9/2) და 29 დეკემბრის (N29/6) გადაწყვეტილებებით კომპანიის ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის ვადა გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით და მოქმედების არეალს დაემატა გლდანის V, VI, VII და VIII მიკრორაიონები. ლიცენზიის პირობების შესაბამისად კომპანია უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის უწყვეტ მიწოდებას მხოლოდ მუხიანის დასახლების აბონენტებისათვის. კომპანიის გასაყიდი ტარიფები საყოფაცხოვრებო სექტორის მომხმარებლებისთვის რეგულირდება სემეკის მიერ.

კომპანიას საკუთრებაში აქვს გაზის მილსადენები მდებარე: ქ. თბილისი მუხიანის დასახლებაში და გლდანის მე-V, VI, VII და VIII მ/რ-ებში. გლდანის დასახლებაში არსებული გაზის მილსადენები (საკადასტრო კოდი 01.00.041 და 01.01.995) იჯარით აქვს გადაცემული შპს „თბილისი ენერჯისთვის“ 17.12.2019 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანიის მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, აქციონერთა და აბონენტთა უფლებების დაცვა, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნება და ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება. კომპანია ფუნქციონირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და სემეკის მიერ გამოცემული დადგენილებების შესაბამისად.

ინფორმაცია კომპანიის აქციონერების წილების შესახებ:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაჭყებია მარიკა	7,97%	7,97%
5%-მდე წილის მფლობელი აქციონერები	92,03%	92,03%
სულ	100%	100%

საზოგადოების მართვის ორგანოებია:

აქციონერთა საერთო კრება – მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა კანონის და წესდების დაცვით სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, საჭიროებიდან გამომდინარე მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება. კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

საერთო კრებაზე მიიღება გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რაც დადგენილია საზოგადოების წესდებით. ერთი აქცია არის ერთი ხმა.

სამეთვალყურეო საბჭო – კომპანიის მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და აღმასრულებელ ორგანოზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი არის დამოუკიდებელი წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან სამი წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს. სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი წევრი.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: კახა ბროკიშვილი (თავმჯდომარე), ვახტანგ ლომაია (თავმჯდომარის მოადგილე), მერაბ სვანი, თამაზ გოცირიძე და დავით არსენაშვილი.

კომპანიის კაპიტალში მმართველი ორგანოს წევრების წილობრივი მონაწილეობა შემდეგია:

სახელი/გვარი	პირადი ნომერი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კახა ბროკიშვილი	01005005866	2.60%	2.47%
ვახტანგ ლომაია	01030004866	0.85%	0.85%
მერაბ სვანი	01011048194	3.19%	3.09%
თამაზ გოცირიძე	01003002524	4.40%	4.40%
დავით არსენაშვილი	01023005659	4.12%	4.02%

კომპანიის გენერალური დირექტორი ვაჟა მაისურაძე არ ფლობს წილს ემიტენტის კაპიტალში.

საზოგადოების გენერალური დირექტორი – კომპანიის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. გენერალური დირექტორი ეწევა საზოგადოების მიმდინარე ხელმძღვანელობით საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესის შესაბამისად.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების გენერალური დირექტორია ვაჟა მაისურაძე.

აუდიტი - აუდიტი აირჩევა ყოველ წელს, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მიერ, წესდებით დადგენილი წესით.

საზოგადოების აქციონერები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. თითო აქცია არის თითო ხმა. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვონ განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს. საზოგადოების აქციონერთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ქსელის გაფართოება და აბონენტის რაოდენობის გაზრდა, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავლების ზრდაზე.

უკვე მრავალი წელია, კომპანია წარმატებით ახორციელებს ბუნებრივი გაზის მიწოდებას მის სამოქმედო არეალში, ზრუნავს სტაბილურ მიწოდებაზე და მომხმარებელთა დადებით განწყობაზე.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს იურიდიული ფილიალები

4. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების (R&D) საქმიანობაში 2024 და 2023 წლებში.

5. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ემსახურებოდა 13 596 აბონენტს, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა 207 ერთეულით და შეადგინა 13 803 აბონენტი.

2024 და 2023 წლების საოპერაციო საქმიანობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

	2024	2023
EBITDA მარჟა	(1)%	4%
საოპერაციო მოგების მარჟა	(2)%	3%
წმინდა მოგების მარჟა	(1)%	4%
მიმდინარე კოეფიციენტი	1.76	1.99
სწრაფი კოეფიციენტი	1.76	1.97

კომპანია ყოველწლიურად გასწევს ქსელის მოვლის და რემონტის ხარჯებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს აბონენტებისთვის ხარისხიანი მომსახურება.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება

8. კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა

კომპანია ასრულებს კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიას გააჩნია: წესდება, რომელიც არის სტანდარტული; ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ქცევის სტანდარტებს; შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომელიც შედგენილია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველზე; ასევე შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; აუდიტის კომიტეტის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის საქმიანობის მიმართულებას და პროცედურებს; რისკების მართვის კომიტეტის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის ფუნქციებს და უფლება-

მოვალეობებს. კომპანიას აქვს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან. აქედან ორი წევრი არის დამოუკიდებელი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და მოქმედებს აუდიტის კომიტეტის დებულებით და კანონით დადგენილი წესით. კომიტეტი შედგება სამი წევრისგან. კომიტეტს თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ასევე შექმნილი არის რისკების მართვის კომიტეტი, რომელიც მოქმედებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რისკების მართვის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს ასევე დანიშნული ჰყავს კორპორაციული მდივანი, რომელიც მოქმედებს დამტკიცებული დებულების მიხედვით.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

i. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან და მოთხოვნამდე დეპოზიტებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი, ანუ რისკი იმისა, რომ კონტრაქტის დავალიანებას ვერ დაფარავს, ძირითადად კონტროლდება ურჩი აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების დროულად შეწყვეტით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთისთვის.

ii. **ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მოხმარებული ბუნებრივი გაზისთვის წინა პერიოდებში დარიცხული დავალიანებით შემცირებულ მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის სხვაობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:


‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-1 თვე
2024 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,416	1,416	-	1,416
2023 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,067	1,066	-	1,066

iii. **საბაზრო რისკი**


საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია კომპანიის სახელით 2025 წლის 30 აპრილს:

გენერალური დირექტორი


/ვაჟა მაისურაძე/

მთავარი ბუღალტერი


/ნათუნა ლორთქიფანიძე/



ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთისთვის.

ii. **ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე და ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდებისთვის.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მოხმარებული ბუნებრივი გაზისთვის წინა პერიოდებში დარიცხული დავალიანებით შემცირებულ მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის სხვაობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0–1 თვე
2024 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,416	1,416	-	1,416
2023 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,067	1,066	-	1,066

iii. **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია კომპანიის სახელით 2025 წლის 30 აპრილს:

გენერალური დირექტორი

/ვაჟა მაისურაძე/


მთავარი ბუღალტერი

/ხათუნა ლორთქიფანიძე/

სს „ენერგოკავშირის“ პასუხისმგებელი პირების განცხადება


სს „ენერგოკავშირი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა ვადასტურებთ რომ, აუდირებული მმართველობის ანგარიშგება და აუდირებული ფასს ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მომზადებულია კომპანიის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 7 ოქტომბრის #181/04 ბრძანების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემი და ინფორმაცია არის სრული, სწორი და სამართლიანი.

გენერალური დირექტორი


/ვაჟა მაისურაძე/



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


/კახა ბროკიშვილი/

სს „ენერგოკავშირის“ პასუხისმგებელი პირების განცხადება

სს „ენერგოკავშირი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა ვადასტურებთ რომ, აუდირებული მმართველობის ანგარიშგება და აუდირებული ფასს ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მომზადებულია კომპანიის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 7 ოქტომბრის #181/04 ბრძანების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემი და ინფორმაცია არის სრული, სწორი და სამართლიანი.

გენერალური დირექტორი

/ვაჟა მაისურაძე/

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

/კახა ბროკიშვილი/

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია

„კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის“

შესახებ არ არის აუდირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის
შესახებ

Application
on submitting Corporate Governance Compliance Report

თარიღი (წელი/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)

3 0 / 0 4 / 2 0 2 5

1. ინფორმაცია ემისიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

ემისიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	ენერგოკავშირი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
თერითული მისამართი/Legal Address	თბილისი, მუხიანის 18/რ, კორპ-13
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	თბილისი, მუხიანის 18/რ, კორპ-5
ტელეფონის ნომერი/Contact Number	2 64 28 69
ელ. ფოსტა/E-mail	info@energokavshiri.ge
ვებ-გვერდი/Web Site	energokavshiri.ge

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDICES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

1. საწარმოს წესდება
2. ეთიკის კოდექსი
3. აუდიტის კომიტეტის დებულება
4. საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა
5. საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო
6. სამეთვალყურეო საბჭოს/დირექტორების რეზიუმე
7. სამეთვალყურეო საბჭოს 30.12.2022წ. სხდომის ოქმი №1-022-10
8. სს „ენერგოკავშირი“-ს 04.10.2023წ. აქტიონერთა საერთო კრების ოქმი
9. კორპორაციული მდივნის დებულება

10. შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პოლიტიკა
 11. ნდობის ხელშეწყობის გეგმის პოლიტიკა
 12. სს-ს გეგმის გეგმის პოლიტიკა
 13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი №1-022-10
- 22.03.2025წ

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	ვახე მასიურაძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	პირდაპირი დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	599 50 62 63
ელ. ფოსტა/E-mail	vmassuradze@mail.ru


ხელმოწერა /Signature

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)

3 0 / 0 4 / 2 0 2 5



დანართი 1. განაცხადი კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	კახა შროკიშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	სამშენიარო საბჭოს თავმჯდომარე
ტელეფონის ნომერი/Contact Number	599 03 67 55
ელ. ფოსტა/E-mail	kbrokishvili@gmail.com
ხელმოწერა /Signature	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
	3 0 / 0 4 / 2 0 2 5

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მითითება	საკანონმდებლო მითითების აღწერა	მითითების შესრულება კი, არა, აღტყინდება	მითითება წლიური ანგარიშში გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელზეც დამატებით განმარტებული კოდექსით განმარტებული მითითებები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანი					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მითითებებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი სამთავალურეო სამკო. დირექტორთა სამკო. კოლეგია უზრუნველყოფს სამთავალურეო სამკოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულებას.	კი	საზოგადოებას ჰყავს მხეთვალურეო სამკო. დირექტორთა სამკო. არა. მმართველობითი ანგარიშება გვ 4.სამთავალურეო სამკო	ამონაწერი სამწარმოო რესტრიქციდან	საწარმოს მცირე მოცულობიდან გამომდინარე არ ჰყავს დირექტორთა სამკო. ანუ დროს საწარმო არის სრუტკოს ლეგენობა და მამათნ შეთანხმებით ხდება საწარმოს მტატები. ამზღურება, ხარეობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი):	ა)საწარმოს უნდა გაანმდეს საწარმოს წესდება, რომელეც განსაზღვრებს სამთავალურეო სამკოსა და დირექტორთა სამკოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმდენად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	„სამწარმოო საზოგადოების სტანდარტული წესდების დამტკიცების შესახებ“ 29.11.2021წ. ბრძანება #791 ოქტობრის მინისტრის	საწარმოს დამტკიცებული აქტის სტანდარტული წესდება. წესდება გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ)საწარმოს უნდა გაანმდეს ეთიკის კოდექსი, რომელეც დანერგვის თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	ეთიკის კოდექსი	გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ)საწარმოს უნდა გაანმდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;	კი			საწარმოს გაანია სათანადო რესურსები, რათა მიღწეული იყოს დასახული მიზნები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ)საწარმოს უნდა გაანმდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებზეც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა		საწარმოს გაანია მდგრადი განვითარების მიზნები, როგორცაა აღმნიშნური რესურსები, თანამშრომელთა უსაფრთხო და უანალი გარემო, გარემოსდაცვითი რეგულაციები.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ეა" ქვეპუნქტი)	ეა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელეც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომის სტანდარტებს და აღმნიშნულ უფლებების დაცვას;	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	საწარმოს შემუშავებული აქტის ადამიანური რესურსების პოლიტიკა	გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ებ" ქვეპუნქტი)	ებ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და უანალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	საწარმოს გაანია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა.	საწარმოს უზრუნველყოფილი აქტის თანამშრომელთა უსაფრთხო და უანალი სამუშაო გარემო. საწარმოში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური. პოლიტიკა გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ეგ" ქვეპუნქტი)	ეგ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების და სახელმძღვანელოს შესაბამისად;	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	საწარმოს გაანია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა	გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ეზ" ქვეპუნქტი)	ეზ)საწარმოს უნდა გაანმდეს სამთავალურეო სამკოსთან შექმნილი კომიტეტია დებულებები, რომელზეც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მართვითელები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამთავალურეო სამკოსთან ანგარიშების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კი	მმართველობითი ანგარიშება გვ 5, პუნქტი-8, კორპორაციული მართვის კოდექსის მითითებების შესაბამისობა	სამთავალურეო სამკოს აუდიტის კომიტეტის დებულებ. რისკების მართვის კომიტეტის დებულება	გამოქვეყნებულია საზოგადოების ვებ გვერდზე
